

საქართველოს კანონი

“სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში (სსმ 2005 წ. ნაწ. ო. №30 მუხ.186) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს, გარდა დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, ამტკიცებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.”

2. კანონის 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3¹ პუნქტი:

“3¹. დასახლების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი